



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მსახური

მსახური, სოციალური ფენის წარმომადგენელი ფეოდალურ საქართველოში. **მ.** პირადად თავისუფალი არ იყო და გლეხობის ზედაფენაში შედიოდა (სხვა შეხედულებით – V–XIV სს-ში პირადად თავისუფალ მწარმოებელთა ზედაფენის ან ფეოდალთა კლასის წევრი). **მ**-ს „მსახურის მამული“ ეჭირა, მაგრამ გასხვისების უფლება არ ჰქონდა, რადგან მესაკუთრედ მისი ბატონი ითვლებოდა. ზოგიერთ **მ**-ს ჰქონდა ნაყიდი მიწაც, რ-ის განმკარგულებელი თავად იყო. გაქცეული გლეხის საძებრად დაწესებული 30-წლიანი ვადა **მ**-ზედაც ვრცელდებოდა. **მ**-თა ფენის ვალდებულება მეფის, საერო და საეკლ. ფეოდალების მიმართ იყო მოლაშქრობა, მოხელეობა, სამასპინძლო და სხვ. სამასპინძლო წარმოადგენდა ნატურალურ გამოსაღებს 2 წელიწადში ერთხელ. **მ**-თა ფენიდან ხდებოდა აზნაურთა წოდების შევსება. ერთიანი მონარქიის ხანაში ეს ფენა ერთგვარად აღზევდა. სამეფო კარს უამრავი მოხელე და მოსამსახურე სჭირდებოდა, გამარჯვებით დამთავრებული ომები კი მოლაშქრე-**მ**-ს ქონების შეძენისა და ცალკეულ შემთხვევებში აზნაურული სამსახურის საშუალებას აძლევდა. ამავე პერიოდში **მ.** ცალკე წოდებად ჩამოყალიბდა, რ-საც გლეხსა და აზნაურს შორის შუალედური მდგომარეობა ეჭირა. გვიანდელ შუა საუკუნეებში, ქვეყნის ეკონ. სიდუხჭირის და პოლიტ. დაქუცმაცებულობის პერიოდში, **მ**-თა ფენაც დაქვეითდა. ეს ვითარება აისახა მისი სისხლის ფასის შემცირებითაც. ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით, **მ**-ის სისხლის ფასი 1000 თეთრია, მებეგრე გლეხისა – 400; ვახტანგ VI-ის სამართლის მიხედვით კი **მ**-ის სისხლის ფასი 24 თუმანია, გლეხისა – 12. **მ**-თა ფენაში, გვიანდ. შუა საუკუნეების მონაცემებით, 2 ეკონომიკური ჯგუფი გამოიყოფოდა: „მართებული მსახური“, ანუ „კაი კვამლი“, რ-იც „მთელ საკომლოს“ ფლობდა, და „დაბალი მსახური“, რ-საც „ნახევარი საკომლო“ ჰქონდა. გარდა ამისა, წყაროებში ნახსენებია „დაბეგრილი“ და „დაუბეგრავი“ **მ**-ც. **მ**-თა მცირე ნაწილს საკუთარი გლეხები ჰყავდა. ზოგიერთ შემთხვევაში **მ**-ს თავისი ბატონი უზრუნველყოფდა ხლებისა და ლაშქრობის დროს. მებეგრე გლეხის **მ**-ის კატეგორიაში

აღზევება მის უშუალო ბატონს შეეძლო. **მ**-თა სამხ. თუ საპოლიციო რაზმებისა და მოხელეების გარეშე არსებობა მსხვილ ფეოდალებს არ შეეძლოთ. ამის გამო ეს ფენა საკმაოდ მყარი იყო ფეოდალიზმის არსებობის განმავლობაში. გვიანდ. შუა საუკუნეებში **მ**-ის სინონიმად ხშირად იხმარებოდა თარხანი ან აზატი (იხ. აზატები; იგულისხმება მებეგრე გლეხის „თავი ბეგრისაგან“ გათავისუფლება და **მ**-ად დადგენა). ბატონს უფლება ჰქონდა დაესაჯა თავისი **მ**. ცემით, დაბმით, დარბევით და სხვ. საქართვე. რუსეთთან შეერთების შემდეგ მთავრობამ არ ცნო **მ**-თა პრივილეგიები და მებეგრე გლეხებთან ერთად დაბეგრა. 1864–71 ისინი ბატონყმური ვალდებულებისაგან გლეხოებასთან ერთად გათავისუფლდნენ. **მ**-ებს მრავალი საერთო აქვთ ფეოდ. დას. ევროპაში ცნობილ მინისტერიალებთან.

ლიტ.: ა ნ თ ე ლ ა ვ ა ი., XI–XV ს.ს. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, თბ., 1980; ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 2, თბ., 1965; რ ა ტ ი ა ნ ი ზ., მსახურთა კლასობრივი ვინაობის გაგებისათვის, «მაცნე. ისტ. არქეოლ. ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია», 1974, № 3; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ტ. 2, 4, თბ., 1973; ტ. 3, თბ., 1979; ჩ ხ ა ტ ა რ ა ი შ ვ ი ლ ი ქ., ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, წგ. 2, ნაკვ. 1, ტფ., 1928; ჯანაშია ს., შრომები, [ტ.] 2, თბ., 1952.

გ. ჯამბურია
